ПРОЛЕТАРЕБО, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 28 (1664) ○ ᲙᲕᲘᲠᲐ, 5 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1961 Წ. ○ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-17 ᲬᲔᲚᲘ. ○ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.



როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში ამას წინათ ჩატარდა მსოფლიო პირველობისათვის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მ. ღუდუშაურმა, დ. გვანცელაძემ და ა. ქორიძემ მოიპოვეს პირველი ადგილები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ვ. ᲑᲠᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

8 მარტს ნიუ-იორკში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩი. სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელმა დაძლია 2 მ 22 სმ-ეს არის ამერიკის კონტინენტზე საუკეთესო შედეგი დახურული დარბაზისათვის. ვ. ბრუმელი სამ შეჯიბრებაში გამოვიდა, სამივეგან გაიმარჯვა და სამი ოქროს მედალიც მოიპოვა.

## ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

შვეიცარიის ყინულოვან სარბიელზე დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ასპარეზობა ზამთრის სეზონში — ევროპისა და მსოფლიო პირველობა შაიბიან ჰოკეიში. ამ პირველობამ მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა. 20 ქვეყნის გუნდი იბრძვის ამ საინტერესო ასპარეზობაში. ისინი სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი. მათგან უძლიერეს ჯგუფს შეადგენს გდრ-ს, კანადის, საბჭოთა კავშირის, აშშ-ს, ფინეთის, გფრ-ს, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის გუნდები.

იმ გუნდებს შორის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის იბრძვიან, განსაკუთრებით მდიდარი ტრადიცია აქვს კანადის გუნდს, რომელიც 17-ჯერ იყო ამ მაღალი წოდების მფლობელი. მსოფლიოში უძლიერესი ქვეყნის სახელი შაიბიან ჰოკეიში ორ-ორჯერ ეპყრათ საბჭოთა კავშირს, შვეიცარიას, ჩეხოსლოვაკიასა და აშშ-ს, ხოლო ერთხელ — დიდ ბრიტანეთს.

ჩვენს ჰოკეისტებს პირველივე შეხვედრა ჰქონდათ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონთან — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელთა გუნდი დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა და გამოუცდელი სპორტსმენებით, რომლებმაც ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს საბჭოთა ჰოკეისტების ძლიერ გუნდს და დამარცხდნენ გამანადგურებელი ანგარიშით — 2:13.

იმავე დღეს ჟენევაში ჩატარდა მეორე გადამწყვეტი მატჩი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და კანადის ჰოკეისტები. კანადელებმა, რომელთა სახელითაც გამოდის ცნობილი „ტრეილი“, ჯერ კიდევ ჩემპიონატისწინა ევროპის ტურნეში გაითქვა უხეშობით სახელი. ეს „წოდება“ მათ ამჯერადაც შეინარჩუნეს. კანადელების ასეთმა თამაშმა მთელ შეხვედრას მისცა ტონი და იგი მეტად მწვავე, მეტად უხეშ ხასიათს ატარებდა. შვედები დამარცხდნენ დიდი ანგარიშით — 1:6.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ჩეხოსლოვაკელთა გამარჯვება ფინელ ჰოკეისტებზე — 6:0.



სურათებზე: მ. ღუდუშაურმა (მარჯვნივ) ილეთი ჩაატარა და მისი მოწინააღმდეგე ვ. სტაშკევიჩი თითქმის პაერში აღმოჩნდა. ზევით — ა. ქორიძე გამარჯვებას ულოცავს უკრაინელ ვ. კოციუბას.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## Ი. რიაზანოვას ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

როგორც ცნობილია, მოსკოვში მიმდინარეობს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება, სადაც მონაწილეობენ აშშ-ს, იტალიის, გდრ-სა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

შესანიშნავად თამაშობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ირინა რიაზანოვა. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ა. დმიტრიევა (მოსკოვი) და გავიდა ფინალში. მეორე ფინალისტია იტალიის ჩემპიონი ს. ლაზარინო, რომელმაც ნახევარფინალში მოუგო მოსკოველ რ. პრეობრაჟენსკაიას.

აღსანიშნავია ავრეთვე ახალგაზრდა ტალინელი სპორტსმენის თ. ლეიუსის სერიოზული წარმატება. მან 3 პარტიაში დაამარცხა ამერიკელი მ. ფრანკსი, რომელიც შედის ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში.

## 6 მ 17 სმ

ლენინგრადის მძლეოსანთა საქალაქო შეჯიბრებაზე დახურულ შენობაში წარმატებით გამოვიდა ტ. შჩელკანოვა, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 6, 17 მ და 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

## ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

თბილისში დაამთავრა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა.

ნაკრები საწვრთნელი შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრება ჰოლანდიაში. გუნდის შემადგენლობაში თბილისიდან არიან გ. ჩოხელი და მ. მესხი,

# ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 40 წელი შეუსრულდა! აყვავების, აღორძინების, ჯერარნახული განვითარების და მძლავრი შემოქმედებითი შრომის 40 წელი! საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე აფხაზეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, საქართველოს ყველა ხალხთან მჭიდრო კავშირში, უდიდესი პროგრესი გააკეთეს სოციალისტური მშენებლობის კეთილშობილურ გზაზე, მოახდინეს უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. დღეს აფხაზეთი ფართოდ განვითარებული მრეწველობისა და უმდიდრესი, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, სადაც მოიპოვება ქვანახშირი და სხვა წიაღისეული სიმდიდრეები, სადაც მოყავთ ციტრუსები, ჩაი, ყურძენი, თამბაქო და ა. შ. აფხაზეთი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი შესანიშნავი საკურორტო ადგილია.

ყველა ეს გამარჯვებანი, მშრომელი ხალხის სამსახურში ჩაყენებული მთელი ეს სიმდიდრე არის შედეგი აფხაზეთის მშრომელების კეთილშობილური შრომისა, რომელსაც წარმართავდა და წარმართავს დიადი კომუნისტური პარტია.

აფხაზეთი არის არა მარტო სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დიდად განვითარებული რესპუბლიკა, არამედ, ამასთან ერთად, იგი არის დიდი და მრავალმხრივი კულტურის ქვეყანაც. აქ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და კულტურის სხვა ფრონტების მუშაკებთან ერთად რესპუბლიკის ღირსებას სჭედენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკები, რომლებიც მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მშრომელთა გაჯანსაღებისა და საბჭოთა სპორტის, კერძოდ, ქართული სპორტის დიდებისათვის. ხელოვნების, ისევე როგორც სხვა დარგების, მჭიდრო კავშირზე სპორტთან მიუთითებს ერთი, თითქოს მცირე, მაგრამ მეტად საგულისხმო ფაქტი. სულ ახლახანს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აფხაზეთის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, მხატვარ ი. ცომაიას, რომელიც, ამავე დროს, არის შესანიშნავი სპორტსმენი, მესტენდერი, სპორტის ოსტატი. ეს მეტად დამახასიათებელია არა მარტო საბჭოთა აფხაზეთის, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის, როცა ადამიანს ჰარმონიულ კავშირში აქვს ერთმანეთთან შერწყმული შემოქმედებითი შრომა და სპორტული მეცადინეობა. სწორედ ამ სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდა აფხაზეთში არაერთი შესანიშნავი, მაღალი კულტურის მქონე სპორტსმენი. შ. შავგულიძე, ა. ღოლობერიძე, ვ. მარღანია, ნ. ძიაპშიპა, ი. ვარდიმიადი და მრავალი სხვა აფხაზეთში აღზრდილი სპორტსმენი ამის საუკეთესო დადასტურებაა.

დღეს, აფხაზეთის სახელოვანი იუბილეს დღეებში, მის მშრომელებს და მის ყველა სპორტსმენს საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად მხურვალე სალამს უთვლიან ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც.

# Ი ᲣᲑᲘᲚᲔ

## 10 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში, მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგებით დამთავრდება დარჩენილი მატჩები, ჩემპიონის წოდება უკვე გაინაღდა მოსკოვის „დინამომ“ (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ტროფიმოვი). აღსანიშნავია, რომ მოსკოვის დინამოელებმა ეს ტიტული მოიპოვეს მეოთხედ, მაგრამ ყველა მათი წარმატება მიეწერებოდა 50-იან წლებს. უკანასკნელად მოსკოვის „დინამო“ ჩემპიონი იყო ათი წლის წინათ.

გადამწყვეტი მატჩი, რომელმაც დინამოელებს მოუტანა ოქროს მედლები, მათ მოუგეს მოსკოვის „ფილის“ სპორტკლუბის გუნდს. მეორე ადგილზეა სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი სვერდლოვის არმიელთა გუნდი, მესამე ადგილის შანსები აქვს ცსკა-ს, თუ იგი თავის ბოლო შეხვედრას მოუგებს „ფილის“.

◆

**საინტერესო, მრავალფეროვანი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატში. მისი სპორტული ჯგუფები დაკომპლექტებულია კარგი სპორტული მონაცემების მქონე ბავშვებით. ამ სურათებზე, რომლებიც ჩვენს კორესპონდენტს გ. სახეჩიძეს ეკუთვნის, გადაღებულია ფეხბურთელთა ვარჯიში თოვლში, ქვევით—ცნობილი მწვრთნელი ბ. ტატაროვი სიგრძეზე ხტომაში ავარჯიშებს აღსაზრდელ ა. გაბუნიას.**

◆

# მიმდინარეობს კონფერენციები

რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიასბჭოებში ამჟამად მიმდინარეობს კონფერენციები, სადაც ჯამდება წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა, ვლინდება ნაკლოვანებები და ისახება ახალ წარმატებათა მოპოვების გზები. რედაქციამ მიიღო არა ერთი წერილი, რომლებიც გვატყობინებენ კონფერენციათა მუშაობის შედეგებს. ბევრი მათგანი სასიხარულო ცნობებს შეიცავს, მათში ლაპარაკია ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის, თანრიგოსან სპორტსმენთა აღზრდის, სპორტღონისძიებათა რეგულარულად ჩატარების, ახალ წამოწყებათა შესახებ. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ხარვეზებსაც.

მარნეულის რაიონის სოფელ შუმიანის ფიზკულტურულ კოლექტივში ჩატარებული ანგარიშგება-არჩევნების შესახებ გვატყობინებს **კ. მამედოვი.** იგი გვწერს: ეს ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში, რაშიც საკმაო დამსახურება მიუძღვის კოლმეურნეობის გამგეობას. წარმატებათა შემდგომი ზრდის მიზნით გამგეობის თავმჯდომარემ, რომელიც სიტყვით გამოვიდა კონფერენციაზე, სპორტული მოედნების მოსაწყობად გამოჰყო 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 1.000 მანეთი სპორტინვენტარის ფონდის შესავსებად, რის საპასუხოდ ფიზკულტურელებმა გადაწყვიტეს შექმნან ფიზკულტურული ბრიგადა. ამასთან თვითეულმა წევრმა დაამუშაოს 2 ჰექტარი და კოლმეურნეობას ჩააბარონ 80-100 ცენტნერი სიმინდი. სულ სოფლის ფიზკულტურელები დაამუშავებენ 60 ჰექტარ სიმინდის ყანას. ამ კოლექტივში გასულ წელს მომზადდა 21 თანრიგოსანი ბალოსნობაში, 10 მძლეოსნობაში და სხვ.

**ნ. მღებრიევა** სიღნაღიდან გვატყობინებს: სოფლის 29 კოლექტივში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა ანგარიშგება-არჩევნები. 26 კოლექტივის საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული და მხოლოდ ორ კოლექტივში აღმოჩნდა ჩაშლილი მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, რისთვისაც აქაური საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული, ხოლო ერთი დატოვებულ იქნა შეფასების გარეშე.

ფიზკულტურულ კოლექტივებში ანგარიშგება-არჩევნების დამთავრების შემდეგ დელეგატები შეიკრიბნენ „კოლმეურნის“ სარაიონო საბჭოს კონფერენციაზე. ერთ-ერთი ასეთი კონფერენციის საქმიანობაზე ლანჩხუთიდან გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი **ი. ებრალიძე.** მის წერილში ვკითხულობთ: რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. წილოსანმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დაუნდობლად ამხილეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. მართალია, უკანასკნელ წელს ბევრი რამ გაკეთდა ლანჩხუთის სოფლის კოლექტივებში ფიზკულტურული მუშაობის შემჯგომი აღმავლობისათვის — სწრაფი ტემპით მიმდინარეს საჭიდაო დარბაზის მშენებლობა სოფ. აგარაკში, ეწყობა მოედნები ლესაში და სხვ. გაიზარდა სპორტსმენთა მაჩვენებლები, მაგრამ ხარვეზები ჯერ კიდევ საკმაო ჩრდილს აყენებენ საერთო წინსვლის საქმეს. კონფერენციაზე განსაკუთრებით მწვავედ იდგა რაიონში სპორტული საქონლის შემოზიდვის, ბაზების მოწყობის, სექციების მუშაობის საკითხი.

ხობის „კოლმეურნის“ X რაიონულ კონფერენციაზე — გვწერს ჩვენი ხობელი კორესპონდენტი **გ. დანელია** — რაისაბჭოს თავმჯდომარის ნ. ჭითავას მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელმაც გამოავლინა, რომ ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია თორსადღვაბში, ხიმისკურში, შუა ხორგას, შუა ქვალონსა და სხვა სოფლებში, სადაც არ ტარდება შეჯიბრებები, იშვიათად გამოდიან რაიონულ შეჯიბრებებში, რის გამოც ყოველთვის შეუსრულებელი რჩება ნიშნონსებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები.

რაიონული საბჭოების კონფერენციები გრძელდება. რედაქცია ჩვენი კორესპონდენტებიდან ელოდება ახალ მასალებს, რომლებშიც გადმოცემული იქნება როგორც კონფერენციებზე მხილებული ნაკლოვანებანი, ისე დადებითი მხარეც, რამაც ხელი შეუწყო ამა თუ იმ ფიზკულტურულ კოლექტივს, რაისაბჭოს წარმატებათა მოპოვებაში.

* * *

თერჯოლის სპორტულმა აქტივმა დიდი ინტერესით მიიღო მონაწილეობა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს მორიგი კონფერენციის მუშაობაში. სპორტსაზოგადოების თავმჯდომარემ კ. უკლებამ საანგარიშო მოხსენებაში ილაპარაკა რაიონის სოფლის სპორტსმენთა საქმიანობაზე. კამათში გამოვიდნენ რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე ო. კახიძე, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი გ. კეკნაძე, „სპარტაკის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ა. ჩარექავი და სხვანი.

კონფერენციამ მოიწონა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მუშაობა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**ლ. ჯიშიაშვილი**

# ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

შედგა საქართველოს ცურვის ფედერაციის პლენუმი, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე მ. ანანიაშვილი. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა რესპუბლიკაში ცურვის მდგომარეობაზე და აღნიშნა ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რაც ხელს უშლის საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაში.

მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ მდგომარეობას, რომ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებმა ვერ შეასრულეს როგორც ოსტატთა, ისე პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმები. 7 ოსტატის ნაცვლად გასულ წელს მომზადდა 2. ამ ჩამორჩენის მიზეზით რესპუბლიკის რეკორდები ხშირად ვერ სცილდება პირველი თანრიგის შედეგებს და არც თუ იშვიათად მასზე დაბალიცაა.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემადაა ქცეული რესპუბლიკაში ბატერფლაის სტილით მოცურავე ქალთა მომზადება. მომხსენებელმა დამსწრეთა ყურადღება შეაჩერა იმ გარემოებაზე, რომ ადრე ცურვის კარგი ტრადიციების მქონე აფხაზეთმა გასულ წელს რესპუბლიკის პირველობაზეც კი არ მიიღო მონაწილეობა.

მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ბავშვთა შორის მუშაობის შეუწყნარებელ უგულვებელყოფას და საქმისათვის საზიანო უმოქმედობას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცურვის მომავალს რესპუბლიკაში. ბავშვთა შორის სათანადო მუშაობას არ ეწევიან განათლების სამინისტრო და სპორტსაზოგადოებები. გამონაკლისს მხოლოდ „დინამო“ შეადგენს. ამ გარემოებამ არ შეიძლება უარყოფითი დაღი არ დასვას რესპუბლიკაში ცურვის განვითარების საქმეს.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ცურვის მასობრივ განვითარებასთან ერთად მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების საქმეში მთავარ ფიგურას მწვრთნელი წარმოადგენს. სამწუხაროდ, მწვრთნელთა შორის საანგარიშო პერიოდში არ ტარდებოდა სათანადო მუშაობა, არ მოწყობილა მათთვის სემინარი, ფედერაციის პრეზიდიუმს არ მოუსმენია არც ერთი მწვრთნელის ანგარიში მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა, გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად, მოწინავე მწვრთნელთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის, სუსტი იყო მწვრთნელთა და სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა. რის შედეგადაც წამყვან სპორტსმენთა შორისაც კი იყო წვრთნის რეჟიმის დარღვევისა და ამორალური მოვლენების შემთხვევები (სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი, პირველთანრიგოსანი ს. კალმიკოვა, მამწენი და სხვები).

პლენუმის მონაწილეთა გაკვირვება გამოიწვია აჭარისა (ალეკრეული) და ნაფხურეთის (ბასკალოვი) წარმომადგენელთა მრუმზადებლობამ, გამოსულან, ერთმანეთ-საფერი თქვეს მათთან ცურვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა და მოცურავეთა მომზადების პერსპექტიული გეგმების შესახებ.

კამათში გამოსული ამხანაგები თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წარმომადგენელი შეჩერდნენ ნაკლოვან მხარეებზე, რაც მნიშვნელოვნად ხელს უშლის ცურვის განვითარებას რესპუბლიკაში.

საქმიანი წინადადებებით გამოვიდნენ ცურვის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ოიკომიდი და მწვრთნელი გ. დათაძე.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სამსონაძემ.

პლენუმმა ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო სათანადო დადგენილება.

დასასრულს ჩატარდა ცურვის ფედერაციის პრეზიდიუმის, მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევნები.

# ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

უკანასკნელ წლებში ზესტაფონის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებითა და მხარდაჭერით საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დარგში. 107 ფიზკულტურულ კოლექტივში, სადაც 8 ათასი კაცია გაერთიანებული, ჩატარდა 360 სპორტული ღონისძიება. მნიშვნელოვნად გაიზარდა **მშთ** ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა რიგები. მიმდინარე წლის იანვრიდან მუშაობას შეუდგა მოზარდთა სპორტული სკოლა, სადაც ახალგაზრდები ნაყოფიერად ვარჯიშობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ბავშვთა სპორტული სკოლა გაიხსნა ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში.

ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციებიდან კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს ფეროშენადნობთა ქარხნის, მთელი რიგი სკოლებისა და დაწესებულებათა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

მაგრამ ერთგვარ წარმატებასთან ერთად აქ ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახალგაზრდობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ქალებთან მუშაობის დარგში, რის გამოც როგორც ადგილობრივ ისე რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში ნაკლებად გამოდიან ამ რაიონის ფიზკულტურული ქალები, ან თუ გამოდიან, აჩვენებენ ძალზე დაბალ შედეგებს. რაიონში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საქმეს. ეს სასარგებლო ღონისძიება ჯერჯერობით სისტემატურად მიმდინარეობს ფეროშენადნობთა ქარხანასა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში.

ამ საკითხებზე იყო ლაპარაკი ზესტაფონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. მომხსენებლის — რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარის ა. განუგრავას გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი.

ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი ა. კვესიტაძე შეეხო რაიონის მოსწავლეთა შორის მუშაობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ რაიონის ბევრ სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, რის გამო ფერხდება სპორტული საქმიანობა ზამთრის პერიოდში, ფიზაღზრდის ბევრი მასწავლებელი, მწვრთნელი თავიანთ საქმიანობაში ნაკლებად იყენებენ ფიზკულტურასა და სპორტში არსებულ სიახლეებს, არ ინტერესდებიან სწავლებისა და წვრთნის ახალი მეთოდების დანერგვით. შორაპნის შვიდწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე რ. ტალახაძე შეეხო მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს, გააკრიტიკა სპორტკავშირი, რომელსაც ჯერ კიდევ სუსტი კონტაქტი აქვს დამყარებული სოფლის სკოლებთან. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების სუსტ მუშაობაზე ილაპარაკა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ბ. სარალიძემ. საქმიანი შენიშვნები გააკეთეს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ფიზკულტურის მეთოდისტმა გ. მახათაძემ, დოსაფი-ს რაისაბჭოს თავმჯდომარე ლ. შარაშენიძემ, ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტმა დ. ღავთაძემ, რკინიგზის მე-16 საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ცაგარეიშვილმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ს. საყვარელიძემ. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კაპანაძემ.

კონფერენციამ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიიღო დადგენილება, აირჩია საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. ზესტაფონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. განუგრავა.

# ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

საინტერესოდ ჩატარდა „განთიადის“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ბანძის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, მეორე — დიდი ჭყონის № 2 ჩაის ფაბრიკის მოჭადრაკეებმა.

პირად პირველობაში I-II ადგილები გაიყვეს ა. ქობულიამ (ბანძის ჩაის ფაბრიკა) და მ. ქვარცხავამ (დიდი ჭყონის № 2 ჩაის ფაბრიკა).

**ო. ხუხუა**

# დეკემბერი მინსკიდან

◆

**საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში**

◆

მას შემდეგ, რაც ტალინში დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირადი პირველობის ნახევარი, მსაჯთა ბრიგადა, პრესის, რადიოს კორესპონდენტები და საერთოდ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ, მინსკში გადავბარგდით. ყველას გვაინტერესებდა თუ რა შემადგენლობამ მოიყარა თავი მჩატე, მსუბუქ, საშუალო და მძიმე წონებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. გამოირკვა, რომ შემადგენლობა ძალიან ძლიერია ყველა წონაში, განსაკუთრებით მსუბუქში. აქ არიან ცნობილი მოჭიდავეები: მსოფლიო ჩემპიონი სინიავსკი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი სალიმულინი, გასული წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოველი ჯღამაძე, თბილისელი გვიმრაძე, მსოფლიოს ექსჩემპიონი ლენინგრადელი ბესტაევი და სხვ.

საშუალო წონაში საქართველოდან გამოდიან მსოფლიო ჩემპიონი სხირტლაძე, ცნობილი მოჭიდავეები გობეჯიშვილი, დავლიანიძე. კილასონია, ცხოვრებოვი და... სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალავაძე, რომელმაც მხოლოდ წელს დასტოვა თავისი წონა (ქვესაშუალო). სამანდატო კომისია პირველად უარზე იყო, არ სურდა ბალავაძის ამ წონაში დაშვება, მაგრამ შემდეგ საკითხი გადაწყდა და ბალავაძეც საშუალო წონაში ოქროს მედლისათვის მებრძოლთა რიცხვში აღმოჩნდა.

მძიმე წონაში ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად თვლიან ახალგაზრდა მინსკელ გოლიათს მედვედს, მოსკოველ ივანიცკის. აქვე არიან ამ წონის ძველი გვარდიის წარმომადგენლები—ძარასოვი, ვიხრისტიუკი, კანდელაკი, ზადოროჟნი და სხვები.

აბა ასე, აქ დავამთავროთ საერთო მიმოხილვა და შევუდგეთ შეჯიბრების მსვლელობის აღწერას.

* * *

**3 მარტი. მინსკი.** შეჯიბრება დაიწყეს მჩატე წონის მოჭიდავეებმა. არსენიანის მოწინააღმდეგე იყო ირკუტსკელი ივანოვი. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი დიდი ტექნიკით არ გამოირჩეოდა და როგორც მოგეხსენებათ, მარტო ფიზიკური ძალით ფონს გასვლა ძნელია. ასეც მოხდა, არსენიანმა როგორც ჩოქბჯენში, ისე დგომში დააგროვა საჭირო ქულები და გაიმარჯვა. მჭედლიშვილმა წმინდად დაამარცხა ალმა-ატელი ტრუპინი, მაისურაძემ — ლენინგრადელი მოროზოვი, ა. შეყრილაძემ — ორჯონიკიძელი ბეტიევი. ბრწყინვალე ფორმაში არიან სინიავსკი და ჯღამაძე; ორივემ თავისი პირველი შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დაამთავრა. საინტერესო იყო აგრეთვე თბილისელების მახარაძის და გვიმრაძის შეხვედრა; მე-7 წუთზე მახარაძემ წმინდა გამარჯვებას მიაღწია. თბილისელმა კოშაკაძემ მოუგო საზონოვს.

საშუალო წონაში აღაბეკიანმა წმინდად დაამარცხა ლენინგრადელი სუდაკოვი, ხოლო მინსკელმა ლეტუნმა — თბილისელი კილასონია. დავლიანიძისა და ცხოვრებოვის შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

საღამოს გაგრძელდა შეჯიბრება საშუალო წონაში. პირველად სარბიელზე გამოვიდნენ სხირტლაძე და ბალავაძე. ჩვენ გულისფანცქალით ველოდით ამ ჭიდაობის შედეგს, გვაინტერესებდა როგორ წარიმართებოდა ბალავაძის დებიუტი მისთვის უჩვეულო წონაში. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ კენჭისყრით პირველად იგი მსოფლიო ჩემპიონს — სხირტლაძეს შეხვდა.

ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ორივემ დუნედ, ყოველგვარი ტემპერამენტის გარეშე დაიწყო ჭიდაობა. თითქოს არცერთს არ სურდა ქულის გაკეთება. მსაჯებმა ორივეს მისცეს გაფრთხილება პასიურობისათვის; გვეგონა მდგომარეობა შეიცვლებოდა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და არც ერთი ილეთი არ გაკეთებულა. მოჭიდავეებმა მეორე გაფრთხილებაც მიიღეს. ამან სხირტლაძე გამოაფხიზლა, მან ფანდი ჩაატარა, ქულაც აიღო, მაგრამ, შემდეგ ჭიდაობამ ისევ პასიური ხასიათი მიიღო, მსაჯთა კოლეგიამ მესამე გაფრთხილებაც მისცა მოჭიდავეებს, ორივეს ჩაეთვალა დამარცხება და ოთხოთხი საჯარიმო ქულაც მიიღეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე შეჯიბრებიდან გავარდნის აშკარა პრეტენდენტები არიან.

მძიმე წონაში მინსკელმა მედვედმა დაამარცხა კანდელაკი. რასაკვირველია, ეს ჩვენთვის მეტად საწყენი იყო, მაგრამ წყენა სახეზე მალე წაიშალა, როდესაც სარბიელზე გამოვიდა კიკნაძე. ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია იგი, როგორც ქართული ჭიდაობის ოსტატი, რესპუბლიკის ორგზის ფალავანი. იგი პირველად გამოვიდა ჭიდაობის ამ სახეობაში სარბიელზე. მისი მოწინააღმდეგე იყო მოსკოველი სიტკო. კიკნაძეს ბევრი არ უფიქრია, პირველი წუთებიდანვე შეუტია მოწინააღმდეგეს, შემდეგ ქართული ჭიდაობის ფანდი — მოგვერდი იხმარა და მეორე წუთზე სიტკო ხალიჩას გაეკრა, ხითარიშვილმა მოუგო გზირიშვილს.

**4 მარტი.** როგორც ვიუწყებოდით ვ. ბალავაძემ და გ. სხირტლაძემ 4-4 საჯარიმო ქულა მიიღეს, ამიტომ დარჩენილ შეხვედრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. სხირტლაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრები თბილისელ ვართანოვთან, რომელსაც 43 წამში მოუგო და ორჯონიკიძელ კუჩიევთან. იგი 2 წუთსა და 25 წამში გააკრა ხალიჩას. კვლავ წარუმატებლად გამოვიდა ბალავაძე. მან ფრედ დაამთავრა შეჯიბრება ესტონელ საართან, 6 ქულა დაუგროვდა და გამოაკლდა შეჯიბრებას.

სტარტზე განცდილი ჩავარდნა ერთგვარად გამოასწორა ო. კანდელაკმაც. მან ჯერ თანამემამულე ა. კიკნაძე დაამარცხა სუფთად, ხოლო შემდეგ კიეველი ი. სიტკო და ახლა ა. მედვედთან და ს. ძარასოვთან ერთად ლიდერობს შეჯიბრებას.

მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. არსენიანი და ზ. მჭედლიშვილი. არსენიანმა შეძლო სუფთა გამარჯვების მოპოვება და ახლა ისინი 4-4 საჯარიმო ქულით განაგრძობენ ტურნირს, ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლები ა. მაისურაძე და ა. შეყრილაძე გამოაკლდნენ ჩემპიონობისათვის მებრძოლთა რიგებს.

საჯარიმო ქულის გარეშე მიიწევს წინ რ. ჯღამაძე (მოსკოვი) მსუბუქ წონაში, ასეთივე მდგომარეობა აქვს ლენინგრადელ ა. ბესტაევსაც. მათ ერთი ქულით ჩამორჩება ვ. სინიავსკი (კიევი), ჯერჯერობით ოქროს მედლისათვის ბრძოლის უფლებას ინარჩუნებენ ა. მახარაძე და ე. კოშკაძე.

* * *

**4 მარტი.** დამთავრდა გათამაშების მეოთხე წრე. სამწუხაროდ, ჩვენთვის არასახარბიელოდ. მჭედლიშვილმა არსენიანთან წაგების შემდეგ ქულებით მოუგო იბრაგიმოვს. ერთი ქულა მიიღო და შეჯიბრება დატოვა. მისი ბედი გაიზიარა არსენიანმაც, რომელმაც ბაქოელ მამედბეკოვთან ფრედ იჭიდავა. ამრიგად, მჩატე წონაში თბილისელთაგან ოქროს მედლისათვის მებრძოლთა შორის არავინ დარჩა.

მსუბუქ წონაში საჯარიმო ქულების გარეშეა მოსკოველი ჯღამაძე. კიეველ სინიავსკის აქვს ერთი ქულა, ლენინგრადელ ბესტაევს — ერთი ქულა. საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონმა გიორგი სხირტლაძემ ქულებით მოუგო აშხაბადელ სემკინს და 5 საჯარიმო ქულა და ტრავმირებული ფეხი აქვს. დავლიანიძეც განაგრძობდა ჭიდაობას, მაგრამ ექიმებმა იგი არ დაუშვეს სარბიელზე, რადგან მასაც ტრავმირებული ფეხი აქვს. ამ წონაში ჩემპიონობის პრეტენდენტები არიან ავეტისიანი, ლეტუნი და აქსიონოვი. მძიმე წონაში ივანიცკისთან წაგების შემდეგ სარბიელი დატოვა კანდელაკმა. ახლა ოქროს მედლისათვის იბრძვიან მედვედი, ივანიცკი და ძარასოვი.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

**ნ. გუგუშვილი,**

ჩვენი სპეც. კორ.

## თბილისის „დინამოს“ ბაგრაში

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი 3 მარტს გაემგზავრა გაგრას.

აქ თბილისელი ფეხბურთელები განაგრძობენ თავიანთ სასწავლო-საწვრთნელ შეხვედრებს მომავალი სეზონისათვის და ჩაატარებენ რამდენიმე საკონტროლო მატჩს „ა“ კლასის გუნდებთან (სავარაუდოა, რომ თბილისელები ითამაშებენ მოსკოვის „დინამოსთან“, კიევის „დინამოსთან“, ლენინგრადის „ზენიტთან“ და სხვ.).



**სურათზე: საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გ. ნებიერიძე (ქვესაშუალო წონა).**

◆

**სურათებზე: საქართველოსა და ესტონეთის ჰოკეისტთა შეხვედრის მომენტები.**

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# XXII
## საჭადრაკო ჩემპიონატი
### გადადებული პარტიების დამთავრება

გურგენიძემ დაამთავრა სამი პარტია. მან მოუგო ბრეიტმანსა და ბერაძეს, ხოლო ლომაიას ყაიმზე შეუთანხმდა. შიშოვმა დამაჯერებლად გამოიყენა უპირატესობა კალატოზიშვილთან და გაიმარჯვა, მაგრამ დამარცხდა იზვოზჩიკოვთან. კალატოზიშვილმა ამ დღეს მეორე პარტია წააგო მიქაელიანთან.

ბუსლაევმა ზუსტი თამაშით გამარჯვებით დაამთავრა თავისი მცირე პოზიციური უპირატესობა ბრეიტმანთან, ხოლო მეორე პარტია ჯანოევთან ყაიმით დაამთავრა. გმრეკელს მოგების შანსები ჰქონდა ეგიაშვილთან, მაგრამ ვერ ისარგებლა ამით და პარტია ყაიმით დასრულდა.

* * *

### მეთერთმეტე ტური

ტურნირში პირველი დამარცხება განიცადა შტეინმა. ბრეიტმანმა ძველინდურ დაცვაში გამოიყენა ვარიანტი, რომელიც კარგად არ სცოდნია უკრაინის ჩემპიონს. ამიტომ ბრეიტმანმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და მძლავრი იერიშით შემუსრა შტეინის პოზიცია.

ლომაიამ დაამარცხა შეინცვიტი, ხოლო კალატოზიშვილმა — გამრეკელი, ყაიმით დამთავრდა ბუსლაევ-იზვოზჩიკოვის, შიშოვ-გურგენიძის, გიორგაძე-გაგუასა და ჩიქოვან-ეგიაშვილის პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

XI ტურის შემდეგ ე. გუფელდს 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ბ. გურგენიძეს — 9,5 ქულა, ა. ბუსლაევს — 8,5 ქულა, ლ. შტეინს — 8 ქულა, რ. ხოლმოვს — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მ. შიშოვს — 6,5 ქულა.

## მაჯჩი ბაკურიანში

**ბაკურიანი. „დინამოს“ ჰოკეის მოედანი. საქართველო („დინამო“)-უკრაინა (ნაკრები). 3 მარტი — 2:5, 4 მარტი — 0:7.**

**მსაჯები: ხაკავშირო კატეგორიის მსაჯი მ. ფრიდმანი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნ. რეზნიკოვი (ორივე მოსკოვი).**

უკრაინის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივია მოკავშირე რესპუბლიკების პირველობის მონაწილეთა შორის. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ უკრაინელთა აქტივშია გამარჯვება ამ პირველობის მეორე ლიდერთან — ბელორუსიის ნაკრებთან—7:2 და მოგება ლიტვის ძლიერ კოლექტივთან—5:3. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ წრეში უკრაინელმა ჰოკეისტებმა ერთი მატჩი ჩაატარეს ჩვენს სპორტსმენებთან და მოიგეს იგი დიდი ანგარიშით — 9:0.

ამჯერად, ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ბაკურიანში და ამ შეხვედრამ თვალნათლივ ვამოავლინა, რომ ძალთა შეფარდება მნიშვნელოვნად შეცვლილა ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. გუშინ და გუშინწინ ბაკურიანის „დინამოს“ ჰოკეის მოედანზე მიმდინარეობდა საინტერესო ბრძოლა, რომელშიც აღარ იგრძნობოდა, რომ ერთ-ერთი მხარე მეტისმეტად უთმობს მეორეს სიძლიერის მიხედვით. ეს, შესაძლებელია, ჩვენი ახალბედა ჰოკეისტების მონდომებისა და ენთუზიაზმის შედეგიც იყოს, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ იგი მათი ზრდის კანონზომიერი გამოვლინებაცაა.

სხვათაშორის, ასეთივე დასკვნას გვთავაზობს საქართველოს ჰოკეისტთა პირველი წრის მატჩების შედეგების შეპირისპირება მეორე წრის მატჩების შედეგებთან. მაგალითად, ბელორუსიის ნაკრებ გუნდთან „დინამომ“ პირველ წრეში შეხვედრები წააგო ანგარიშით — 0:22 და 0:15, ხოლო მეორე წრეში — 0:13 და 4:11. შედარებით უკეთესი შეფარდებები აქვს ჩვენს გუნდს მეორე წრეში ესტონეთის ნაკრებთან შეხვედრებშიც.

გუშინ, ჩვენი ჰოკეისტები შეხვდნენ უკრაინელ სპორტსმენებს. მატჩი აღინიშნა უკრაინელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

* * *


# ლელო

მე-3 გვ. № 28 (1664)

# „ყურადღება, სტარტზე!“

ყოველ კვირა დილით რ. ლაღიძის „საქიდაოს“ ჰანგებით იწყება საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის სპორტული ჟურნალის—„ყურადღება, სტარტზე!“ — გადაცემა.

25 წუთის მანძილზე ჟურნალი მსმენელებს ბევრ საინტერესოს მოუთხრობს საქართველოს სპორტული ცხოვრებიდან. მიკროფონთან გამოჰყავს გამოჩენილი სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტული მიმომხილველები, პასუხობს შეკითხვაზე... ერთი სიტყვით ჟურნალი რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მეტად სასარგებლო პროპაგანდას ეწევა.

ამ საინტერსო ჟურნალს ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის გადაცემათა რედაქცია (რედაქტორი ნ. ბეთანიშვილი), რომელიც ძირითადად საზოგადოებრივი აქტივის მეოხებით არსებობს. მას კონტაქტი აქვს დამყარებული ფიზკულტურის ინსტიტუტთან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან, სახელმოხვეჭილ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, რაიონებში მომუშავე მუშაკებთან.

იგი არა მარტო აშუქებს ძირეული კოლექტივების საქმიანობას, არამედ ეხმარება კიდეც მათ. მაგალითად, დახმარება გაუწია თიანეთელ ახალგაზრდებს მშვილდოსნობის დანერგვაში; ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ ახმეტელები და ჩოხატაურელები. ჟურნალის ხელმძღვანელობამ სათანადო ორგანიზაციის წინაშე დასვა საკითხი ამ რაიონებში სათანადო სპორტული ინვენტარის შეზიდვის შესახებ. მან განაზოგადა ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის სპორტული კლუბის, თბილისის 1-ლი ფეხსაცმელის ფაბრიკის ფიზკულტურელთა მუშაობის დადებითი გამოცდილება და სხვა.

იმისათვის, რომ რადიო-ჟურნალმა მეტი სიცოცხლე შეიტანოს სპორტულ ცხოვრებაში და რაც შეიძლება მეტი ახალგედა მიიზიდოს სექციების მუშაობაში, კიდევ უფრო საინტერსო და ოპერატიული უნდა გახადოს თავისი გადაცემები. ჩვენ მივესალმებით, რომ ჟურნალის ხელმძღვანელობა არ კმაყოფილდება შეჯიბრების მშრალი აღწერით, იგი მიკროფონთან ალპარაკებს სპეციალისტებს, გამარჯვებულ სპორტსმენებს, ანალიზს უკეთებს გარდასულ ბრძოლებს. მაგრამ ამის მიუხედავად იგი მაინც ნაკლებ ოპერატიულია. ამ საქმის მოგვარება კი მას შეუძლია. შაბათობით ჩატარებულ შეჯიბრებათა რეპორტაჟი კიდევ უფრო გაამრავლებს მის მსმენელთა რიცხვს. კარგი იქნება თუ ჟურნალის ხელმძღვანელობა იფიქრებს აგრეთვე რეპორტაჟის მრავალფეროვნების შესახებ.

ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის განზოგადება არ კმარა, ახლა საჭიროა მიკროფონით სოფელსაც ვეწვიოთ. ვნახოთ როგორ მუშაობენ სოფლის ფიზკულტურული კოლმეურნეო დოვლათის შემქმნელნი სპორტულ სარბიელზე. საერთოდ, პერიფერიებს უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს. გადაცემები უფრო ცოცხალი, ხალისიანი, რომ იყოს საჭიროა მეტი კონკურსები, გამოკითხვები, მსმენელთა დაუსწრებელი კონფერენციები.

ჟურნალს ყავს აქტივი, მაგრამ როგორც ჩანს, მისი საქმიანობა ვერ არის სათანადოდ გაშლილი. ეს ერთის მხრივ იმითაც აიხსნება, რომ ჟურნალი კვირეულია, ჩვენ გვგონია, რომ უკვე მომწიფდა ჟურნალის კვირაში ორჯერ გადაცემის საკითხი. ეს რესპუბლიკის სპორტსმენებმა და ფიზკულტურელებმა დაიმსახურეს.

ამისათვის კი საჭიროა რადიო მაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტში შეიქმნას ბირთვი, რომელზეც გაპიროვნებული იქნება მხოლოდ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხები. სხვანაირად ჟურნალი ვერ დაიდგმება თავს ერთფეროვნებისგან და არაინტერესოდ. ორდენაც-ჟურნალს-წინააღმდეგ სერიოზულ საკითხებს ვაყენებთ, მაშასადამე დახმარებაც უნდა გაიზარდოს. ეს პირველ რიგში ეხება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებსა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სპორტულ სექციას. ჩვენ უნარიანად უნდა გამოვიყენოთ უმავთულო გაზეთის—რადიოს მდიდარი შესაძლებლობანი ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში, დავეხმაროთ და მოვითხოვოთ კიდეც ჩვენი სისხლსავსე სპორტული ცხოვრების მის მრავალათასიან მსმენელთათვის საინტერესოდ მიწოდება.

**თ. ნინოშვილი**



## კონტინენტიდან კონტინენტზე

ბევრი თავისებური შემთხვევაა დაკავშირებული ფეხბურთთან, მაგრამ სავსებით უმაგალითო „ისტორია“ შეემთხვა ერთ ბურთს, რომელმაც უნებლიედ იმოგზაურა ინგლისიდან ავსტრალიამდე. ინგლისის ქალაქ საუთჰემტონში მიმდინაროებდა მატჩი. ადგილობრივი გუნდის მცველმა ისეთი სიძლიერით დაარტყა ბურთს, რომ იგი ტრიბუნებს გაეცდა და სტადიონის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. სრულიად შემთხვევით ბურთი დაეცა მანქანაზე, რომელიც დატვირთული მიემართებოდა ნავსადგურისაკენ. როცა მუშები ბარგს ვეზმზე ტვირთავდნენ, მათ ვერაფერი შეამჩნიეს და მალე ბურთი გემთან ერთად ავსტრალიაში აღმოჩნდა. „უპატრონო“ ბურთს ავსტრალიაში ყურადღება მიაქცია ერთმა მუშამ. ინგლისთან მიმოწერის შემდეგ დადგენილ იქნა ბურთის „ვინაობა“ და იგი დიდი ამბით დააბრუნეს სამშობლოში.

## ჯონ ჩარლზის განცხადება

როგორც სპორტული კომენტატორები იუწყებიან, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია უცხოეთში მყოფი „ვარსკვლავების“ დაბრუნება სამშობლოში. გამოჩენილმა უელსელმა ცენტრფორვარდმა ჯონ ჩარლზმა, რომელიც 1958 წლის დასაწყისიდან იტალიის „იუვენტუსში“ თამაშობს, განაცხადა, რომ აღარ განაახლებს ხელშეკრულებას ამ კლუბთან.

## გაიმარჯვა ღ. ჰაჰმა

პარიზში შედგა საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შეხვედრა. რინგზე იბრძოდნენ სივორ შოკა (საფრანგეთი) და ლასლო ჰაჰი (უნგრეთი).

10-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადებულ იქნა ლ. ჰაჰი, უნგრელი მოკრივე სულ უფროდაუფრო უახლოვდება ევროპის ჩემპიონის ტიტულს.

## 5—15 მარტს

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში დაიწყება საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირველობა ფრენგურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. მონაწილეობენ: სვერდლოვსკის, ომსკის, ოდესის, ვინიცის, მოსკოვის, თბილისის, ბაქოსა და სხვა ქალაქების გუნდები.

დასაწყისი 17 საათზე.

# საჭლეჰარტარეოს ამბები

ჩარლზის დაბრუნება ზრდის უელსელთა შანსებს ესპანელებთან შესარჩევ მატჩებში.

## ერთობლივი გადაწყვეტილებით

მსოფლიო სპორტის ისტორიაში თავისი სახელი ადირონდაკის მთებმა, რომელიც აშშ-ს და კანადის საზღვარზე მდებარეობს პირველად ამ 29 წლის წინათ ჩაწერა, როცა აქ ლეიკ-პლასიდში გაიმართა ზამთრის მესამე ოლიმპიური თამაშები. და აი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იგი კვლავ გადაიქცა დიდ საერთაშორისო შეჯიბრების ადგილად. ამჯერად აქ თავი მოიყარეს ბობსლეისტთა მსოფლიო პირველობის მონაწილეებმა.

მთავარი პირველობის ტექნიკური ანგარიში როდია, საქმე იმაშია, რომ ასეთი რთული ტრასა არასოდეს ყოფილა და გამოცდილი სპორტსმენებიც კი საგონებელში ჩააგდო ტრასის სახიფათო მოსახვევმა. ჩემპიონატი ვერ აცდა მარცხს, განსაკუთრებით „უიღბლო“ გამოდგა ბელგიელთა ორადგილიანი და შვედი ვ. არონსონი, რომლებიც ისე დაშავდნენ რომ ექიმთა დასკვნით საეჭვოა, რომ მათ ოდესმე შეძლონ დაუბრუნდნენ თავიანთ საყვარელ სახეობას.

მარცხის მიუხედავად შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა იტალიელმა ე. მონტომ, რომელმაც ორადგილიანით შეჯიბრებაში (დამმუხრუჭებელი ს. სიორპაეზი) მეხუთედ მოიგო ეს საპატიო ტიტული.

ოთხიანით შეჯიბრება ორ დღეს უნდა გაგრძელებულიყო. აქაც სცადა ძალები ე. მონტომ და პირველ დღეს ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა, რამაც მას ფაქტიურად მოუტანა მეორე დიდი გამარჯვება. მეორე დღეს ტრასის გაფუჭების გამო მსაჯთა კოლეგიის ერთობლივი გადაწყვეტილებით იტალიელთა ოთხეულს მეორე ცდის ჩატარების გარეშე მიეკუთვნა გამარჯვება.

**ჩვენი გაზეთის მკითხველებს ბორჯომელ ს. ჩადუნელსა და მესტიელ ა. ჯაფარიძეს აინტერესებთ, თუ როგორ ვითარდებოდა მსოფლიო რეკორდი ტრამპლინიდან ხტომაში.**

თხილამურების სამშოლოდ სამართლიანადაა აღიარებული სკანდინავიის ქვეყნები და განსაკუთრებით ნორვეგია. ამ ქვეყნის სახელთახაა დაკავშირებული პირველი ოფიციალური შეჯიბრება და პირველი მსოფლიო რეკორდიც ტრამპლინიდან ხტომაში. როცა 1868 წელს ნორვეგიელი ნორდჰეიმი გადახტა 19 მეტრზე, ეს ნამდვილი სენსაცია იყო, ხოლო რეკორდი 11 წლას განმავლობაში მიუწვდომელი იყო ყველასათვის. მხოლოდ 1879 წელს მოხდა ცვლილება — რეკორდის ჭერმა სულ რაღაც ერთი მეტრით აიწია. რეკორდი დაკარგა ნორდჰეიმმა, მაგრამ იგი არ დაუკარგავს ნორვეგიას, ვინაიდან რეკორდის ახალი ავტორი კვლავ ამ ქვეყნის მკვიდრი ჰაუგენი იყო.

მომდევნო 7 წლის განმავლობაში ტრამპლინიდან ხტომელთა ყველა ცდა, შეეტანათ ცვლილება ძველ რეკორდში, მარცხით მთავრდებოდა. მაგრამ 1886 წელს ნორგორდი (ნორვეგია) ერთბაშად 26 მეტრზე (!) გადახტა. ამის შემდეგ ხუთჯერ გაუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი ნორვეგიელებმა. 1890 წელს ბიუემ აჩვენა 30 მეტრი, 10 წლის მერე ტანდბერგი გადახტა 35,5 მეტრზე, 1902 წელს ესტვანგის შედეგმა მიაღწია 41 მეტრს, ხოლო 1909 წელს შმიტმა ეს შედეგი 45 მეტრამდე აიყვანა.

ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდმა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლა. 1913 წელს ომტვედი (აშშ) გადახტა 51,5 მეტრზე, ხოლო 1917 წელს მისმა თანამემამულემ ჰოლმა დაძლია 62 მეტრი. 4 წლის შემდეგ ნელსონმა (აშშ) აჩვენა იმ დროისათვის ფენომენალური შედეგი — 73 მეტრი.

მხოლოდ 22 წლის მერე დაიბრუნეს ნორვეგიელებმა ჰეგემონია, როცა ჯერ ზ. რუდმა 1931 წელს აჩვენა 81,5 მ, 1934 წელს კი მისმა მოგვარემ ბ. რუდმა დაძლია 92 მეტრი. 1936 წელს მსოფლიო რეკორდების ცხრილში გამოჩნდა ახალი გვარი — ბრადლი (გერმანია), ამ შესანიშნავმა სპორსმენმა მსოფლიოში პირველმა გადალახა 100-მეტრიანი ზღვარი და რეკორდის ჭერი 101 მეტრამდე ასწია.

ეს რეკორდი მხოლოდ 1948 წელს იქნა განახლებული. ამჯერად მისი ავტორი იყო შვეიცარიელი ჩანენი, მან დაძლია 120 მეტრი, ორი წლის შემდეგ, 1950 წელს ჩანენის მიღწევა ზედიზედ სამჯერ გაუმჯობესეს. ჯერ მისმა თანამემამულემ დეშერმა აჩვენა 130 მეტრი, მერე გერმანელმა ვეილერმა მის შედეგს 3 მეტრი წაუმატა და ბოლოს ნეტცელმა (შვეიცარია) ისევ თავის ქვეყანას დაუბრუნა მსოფლიო რეკორდი — 135 მეტრი.

1951 წლის მარტში ობერსდორფის (გფრ) უდიდეს ტრამპლინზე გამართულ შეჯიბრებაში თავი ისახელა ტ. ლაუირომ. იგი ერთ-ერთ ცდაზე 139 მეტრზე გადახტა. ეს იყო ფინელ სპორტსმენთა პირველი მსოფლიო რეკორდი.

ამ დღეებში ობერსდორფის ტრამპლინზე გამართულ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა იუგოსლაველი ი. სლიბარი, რომელიც 141 მ გადახტა.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სპორტის ოსტატ ნიკოლოზ ზაალის-ძე ანდრონიკაშვილს მისი მამის

**ზაალ ნიკოლოზის-ძე ანდრონიკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.**

1 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05469